საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

1033-01-01-10-2-202103112321

N 01-01-10/1033
11/03/2021

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

(ბათუმი, წერეთლის ქ. N6, ბ. N43
ელ. ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com ; მობ: 557 20 00 01)

ქალბატონო ნაზიბროლა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2021 წლის 1 მარტის შემოსული კორესპონდენციის №01-01-09/1605 პასუხად, თქვენს მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას:

- ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მშენებარე სოციალური საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებიდან, მიმდინარე წლის 1 მარტის მდგომარეობით განხორციელებულია დაახლოებით 11 800 000 ლარის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულებიდან ათვისებულია 13 347 462,3 ლარი (მათ შორის ავანსი 5 811899,90 ლარი).

- სახელშეკრულებო ვადის გახანგრძლივების საფუძველი იხილეთ დანართში.

- 2020 წლის 13 თებერვლის №15 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური გეგმა გრაფიკის მეორე ეტაპით განსაზღვრული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების გამო შპს „დაგი“-ს დაეკისრა 26100 ლარის პირგასამტეხლოს გადახდა, რომელიც გადახდილია სრულად.

- მიმდინარე ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ფინანსური გეგმა-გრაფიკის სრული დაცვით.

- „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელიც მოიცავს 582 ბინას, წარმოადგენს აღნიშნულ ტერიტორიასა და სხვა ლოკაციებზე თვითნებურად ჩასახლებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის გეგმის პირველ ეტაპს. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მომიჯნავე ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისა და მეორე ეტაპის

სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, რომლის დასრულების შემდგომ გამოიკვეთება მისი ღირებულება.

- მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგისას №1 კორპუსის +17,7 ნიშნულზე, გადახურვის ფილის ნაწილზე დაფიქსირდა ბეტონის მარკის შეუსაბამობა საპროექტო მონაცემებთან. ხარვეზის გამოსწორების მიზნით განხორციელდა გადახურვის ფილისა და რიგელების წუნდებული ნაწილის დემონტაჟი. აღნიშნულ გარემოებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა და აიღო ობიექტზე მზა ბეტონის მომწოდებელმა კომპანიამ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-მ, რომელიც სრულად აფინანსებს ხარვეზის გამოსწორებას.

დანართი: „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.